ელბერდ ბატიაშვილი

„ევროპელი კაცი“:

ილია და ევროპული სოციალ-დემოკრატია

– რანი ვიყავით

– რანი ვართ

– რად შეიძლება ვიქმნეთ

ნაკვეთი I

თბილისი

2020

წინათქმა

1861 წელი. ოთხი წლის განშორების შემდეგ ილია ბრუნდება სამშობლოში. **„მგზავრის წერილები“** და ეს კითხვა – დილემა მისი:

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე... შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, შევძლებ კი?“...

1962 წელი. ჟურნალი **„საქართველოს მოამბე“.** პირველი ნომერი და პირველი საპროგრამო წერილი:

„ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი არა. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა... მაგ ცხოველს იმედს რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა, ეს არის ძალა, რომელიც ეძახის ადამიანს – „წინ წადექ, წინ წადექ!“... ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა“...

1877 – 1887 წლები. „ივერიის“ საპროგრამო წერილების ათწლიანი ციკლი – **„ცხოვრება და კანონი“.** მოხაზულია ძირითადი იდეები **„საერთო ნიადაგის“** თეორიის სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპებისა. **„ჩვენი ცხოვრების გზა ევროპული არჩევანია – ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“...**

1895–1907 წლები. პოლემიკა კლასობრივი ბრძოლის რუსეთიდან გადმონერგილი **მარქსიზმის იდეოლოგიასთან:**

„ისტორია ბრძოლა ბუნებასთან, სიღარიბესთან, გონების სიბნელესთან, ღონემიხდილობასთან...ერთ ბიჯსაც ვერ წავდგავთ წინ ამ ბრძოლაში, თუ ყველამ ცალკე გავიწიეთ, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთ. თუ ესეა, ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას? ამიტომ დიდად სცოდავენ ქვეყანასაც და ხალხსაც ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია გინდა თუ არა ბრძოლა უნდა იყოს კლასთა შორის“...

„სოციალური ჰარმონიისა და თანამშრომლობის“ ევროპული სოციალ-დემოკრატიის იდეებია ილიასთვის საქართველოს მომავალი, მისი ეს ზეწოდებაც – „ევროპელი კაცი“ ამის ასახვაა. მისთვის მიუღებელი გახდა „მესამე დასის“ მარქსისტული რევოლუციური თეორია. ამიტომ წერდა „ივერიაში“ მისებური სარკაზმით:

„იქნებ გგონიათ, ამ წერილით მინდა თავი მოგაწონოთ..., რომ „მესამე დასში“ შესასვლელად კარი გამიღოთ. სულაც არა. მე უფრო შორს მინდა გადავაბოტო: მე მეოთხე დასს შევქმნი და მეთაურადაც გავუხდები. ოთხი სამზე წინ არის და მეც მინდა თუ ვიქნები, წინ ვიყო. ეხლა საქმე თვლაშია – მეოთხეს

მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს – მეექვსე და წავა ესე, სანამ სათვალავი შემოგვაკლდება. ქართული პროგრესი ეს არის და ევროპულისა კი რა მოგახსენოთ“.

„ქართული პროგრესის“ ეს სარკაზმი როგორ გამართლდა დღეს, ყველა ვხედავთ... ესეც ილიასებური სარკაზმით გაჟღენთილი ციტატაა:

„არ ვიცით სხვა როგორ ჰფიქრობს, მაგრამ ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს... რა არის ისტორია? იგი მთხრობელია იმისა, **თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“.**

ჩვენც მივყვეთ ილიას რჩევას და ვნახოთ როგორც ჩვენი ფოლკლორიც გვეუბნება, თუ **„რა ჯიშ-ჯილაგისანი ვართ“**... აკი, ჰეგელმაც **„აბსოლუტური სულის თვითშემეცნების მისია“** ქართველ ერს დააკისრა...

ეს შედევრიც ჩვენი ერის კოლექტიურმა გონმა შვა:

„წუთისოფელი ასეა,
დღეს ღამე უთენებია,
რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია“.

ილია დიდად აფასებდა ფოლკლორს, „საუკუნეებში გამოტარებულ სიბრძნეს“. მან პირველმა დაიწყო მისი შეგროვება–დამუშავება–შესწავლა. ეს მისი 2 აგვისტოს ტრადიციაც – **„ილიაობა“,** რომელიც ბევრს მაშინაც და დღესაც თავის საპატივსაცემოდ შემოღებული დღესასწაული ჰგონია, (არადა, ილიას სიცოცხლეში არცერთი დაბადების დღე არ გადაუხდია!), მან თავის დიდ მოსახელე – წინასწარმეტყველს მიუძღვნა, დედამიწაზე ქრისტეს მოსვლა რომ იწინასწარმეტყველა ქრისტემდე გაცილებით ადრე...

ღმერთმა ქნას, რომ ის, რაც ილიამაც თავისი **„საერთო ნიადაგით“** გვიწინასწარმეტყველა, ასევე აღსრულდეს. ამისკენ მოგვიწოდებს 1897 წლის საახალწლო წერილში – „რა **გითხრათ? რით გაგახაროთ?“:**

„არ ვიცით – რანი ვიყავით, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით... ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“.

რანი ვიყავით:

„საერთო ნიადაგის“ თეორიის ისტორიული ფესვები

მემკვიდრეობითობა ბუნებისა და საზოგადოების უნივერსალური კანონია და ილია ჭავჭავაძეც, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიაც ცარიელ ნიადაგზე არ წარმოშობილა. თუ კარგად არ გავიაზრებთ და გავაანალიზებთ ამას, ილიასაც სრულყოფილად ვერ გავიგებთ...

1938 წლის მონოგრაფიაში – **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“,** ივანე ჯავახიშვილის ასეთ გულსაკლავ სიტყვებს შევხვდებით:

„ჩვენ ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი – კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო და სამწუხაროდ, ილიას კარგი გამგონე არ გამოსჩენია“.

ამ „კარგ გამგონეში“ ბ-ნი ივანე პირველ რიგში „საერთო ნიადაგის“ დიდ იდეასა და თეორიას გულისხმობს და თუ გვინდა მათ ისტორიულ ფესვებს ჩავწვდეთ, „ქართლის ცხოვრებას“ და ქართულ ცხოვრებას უნდა მივმართოთ, ანუ, როგორც თვითონ ილიას უყვარდა თქმა, **„საქართველოს ისტორიის ფილოსოფიას“.** ამ შემთხვევაში მკვლევარისთვის ჭეშმარიტების დასადგენად ყველა გზას პეტრე იბერთან მივყავართ: ის ხომ ქრისტიანობის დამკვიდრების გამგრძელებელია, ჯერ კიდევ I საუკუნიდან ანდრია პირველწოდებულმა რომ დაუდო სათავე ჩვენს ქვეყანაში...

პეტრე იბერის სამივე ბიოგრაფი ერთხმად აღნიშნავს მის საოცარ ხილვებს: ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში ქრისტეს ხილვამ და მოწოდებამ მისცა ბიძგი მიეტოვებინა სასახლის ბრწყინვალე ცხოვრება, იბერიის სამეფო ტახტის მემკვიდრეობა (ის ხომ ვახტანგ გორგასალთან ერთად, მირიან მეფის და ნანა დედოფლის შთამომავალი მეოთხე თაობაა), და საეკლესიო მშენებლობისა და მეუდაბნოეს ცხოვრებისთვის შეეწირა თავი. ესეც ფაქტია, – მას არასოდეს შეუწყვეტია კავშირი იბერიასთან, საიდანაც 12 წლის ასაკიდან, როგორც მძევალი მოხვდა ბიზანტიის იმპერატორის კარზე. ბიოგრაფები იმასაც აღნიშნავენ, რომ პალესტინაში მასთან ხშირად ჩამოდიოდნენ მომლოცველები შემოწირულობებით იბერიიდან...

ჭეშმარიტებას ერთი უნიკალური თვისება დაანათლა ღმერთმა: რაც გინდა დამალო და მიჩქმალო, ცხრა მთას იქით რომ გადაკარგო, არ შეიძლება ბოლოს თავისი გზა არ გაიკვალოს. ამიტომ წერს „ქართლის ცხოვრების“ გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელიც – **„ისტორია ჭეშმარიტის მეტყველება არს“...**

პეტრე იბერი ამის ერთ-ერთი მაგალითია: რა არ დასწამეს, დიოფიზიტი წმინდანობიდან „მონოფიზიტი მწვალებელი“ გახადეს... როგორც კი საქართველო და ქართული ეკლესია ხელში ჩაიგდო, „ერთმორწმუნე რუსეთმა“ მისი ხსენებაც

კი აკრძალა – რას ქვია ქართველებს ასეთი დიდი მოღვაწე გყავდეთო... მაგრამ ჭეშმარიტების ძიებაში ევროპა დაგვეხმარა:

1895 წელს რიჩარდ რააბემ გერმანულად თარგმნა და საქებ-სადიდებელი კომენტარები დაურთო პეტრე იბერის „ცხოვრების“ ასურულ ვერსიას ასეთი სათაურით – **„პეტრე იბერი: V საუკუნის საეკლესიო და ზნეობრივი ისტორიის სურათი“.** რააბეს შემდეგ ათეულობით შრომა მიეძღვნა იმის მტკიცებას, რომ ევროპული რენესანსის საფუძველი არა ე.წ. „ფსევდო – დიონისეს არეოპაგიტიკა“, არამედ პეტრე იბერის **„იბერიკაა“.** 70 წლის წინ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორმა მეცნიერმა – გერმანელმა ერნესტ ჰონიგმანმა და ქართველმა შალვა ნუცუბიძემ უტყუარი არგუმენტებით დაამტკიცეს ეს...

სულ ახლახან, 2001 წელს აშშ კათოლიკურ უნივერსიტეტში კორნელია ჰორნიმ დაიცვა დისერტაცია მეტად ნიშანდობლივი სახელდებით – **„თეოლოგიის მიღმა: პეტრე იბერი V საუკუნის პალესტინის ქრისტოლოგიურ დაპირისპირებაში“.** დიახ, ყველა ხვდება, რომ დღეს მთავარი და არსებითი პეტრე იბერის მიმართ თეოლოგია კი არა, კაცობრიობის წინაშე მისი დამსახურებაა. მან ხომ კაცობრიობის **„საერთო ნიადაგზე მდგომის და მშვიდობისმყოფლობის“** დიდ იდეას ჩაუყარა საფუძველი და ეს პარადოქსი დღეს – რუსეთმა იგი „მონოფიზიტ მწვალებლად და კრიმინალად“ გამოაცხადა?!...

დღეს ვინც კი სიმართლეს მისდევს, ყველა აღიარებს, რომ ევროპული რენესანსის საფუძველი პეტრე იბერის ნეოპლატონური შრომები, პალესტინური ქადაგებები და ეპისტოლეებია. იგი ანტიკურიდან ევროპული ცივილიზაციისკენ დამაკავშირებელი ხიდია. ჩვენი ვალია ამან სათანადო ასახვა და აღიარება ჰპოვოს, რამეთუ დღესაც – **„ისტორია ჭეშმარიტის მეტყველება არს“...**

„ქართლის ცხოვრების“ ნაკვალევზე...

თუ ისტორიული და გნოსეოლოგიური თვალსაზრისით გავიაზრებთ „საერთო ნიადაგის“ იდეას, მან საოცარი თავგადასავალი გამოიარა ჯერ როგორც იდეამ და ილია ჭავჭავაძის შემდეგ კი, ეროვნულმა იდეოლოგიამ. ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ ეს გზა, რის საშუალებასაც დღეს ჩვენ „ქართლის ცხოვრება“ გვაძლევს, გზა, რომელიც მინიმუმ სამიათას წელს მოიცავს:

ყველა მონაცემებით, როგორც ქართული, ისე უცხოურით ცხადი ხდება, რომ „იბერიისა“ და „კოლხეთის“ სახით ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისი II–I ათასწლეულობის მიჯნაზე უნდა ვეძიოთ. „ქართველი ერის ისტორიის“ თორმეტტომეულის I ტომში ივანე ჯავახიშვილი ამ ჩანასახოვან ხანას **„მამასახლისობის“** ცნებით აღნიშნავს. უკვე მის დროს დაწყებული მცხეთის „არმაზის არქეოლოგიური გათხრების“ მასალებიც ადასტურებენ ამას, ისე

როგორც შემდეგ „თრიალეთის“, „ვანის“ „ნაქალაქევის“ და სხვა არქეოლოგიური მასალები...

„მამასახლისობის“ ხანა შეიცვალა „ფარნავაზიანთა“ სამეფო დინასტიით და სწორედ აქ, ძვ.წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან გვაწვდის „ქართლის ცხოვრება“ საერთო ნიადაგის იდეის პირველ დოკუმენტურ დადასტურებას, როცა ეგრისის მთავარი ქუჯი მცხეთიდან ფარნავაზის გაერთიანებისკენ მოწოდებას ასე პასუხობს: – **ოღონდ მტერი განვდევნოთ ქვეყნიდან და შენ იყავი პირველი და მე კი შენი მსახურიო...** ასე ჩაეყარა საფუძველი ამერ-იმერის ერთობას მაშინ...

ბ-ნი ივანე აქედან მოყოლებული „ფარნავაზიან-გორგასლიან-ბაგრატიონთა საქართველოს“ განიხილავს როგორც ერთიან ისტორიულ პროცესს XIX საუკუნის დასაწყისამდე, როცა რუსეთმა მოსპო ქართული სახელმწიფოებრიობა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ასე შექმნა ამ ახალმოვლენილმა იმპერიამ მთელი ორასი წლის მანძილზე ერთიანი კოლონიური სივრცე ამერ-იმერით. აქედან მოყოლებული „საერთო ნიადაგის“ იდეა კიდევ უფო ცხოველმყოფელი ხდება ჯერ კიდევ სოლომონ დოდაშვილის, ოქროპირ ბატონიშვილის და 1820–1832 წლების შეთქმულების სხვა ლიდერებისა და იდეოლოგების მიერ, ვიდრე მას მწყობრი თეორიის სახეს არ მისცემდა ილია ჭავჭავაძე...

საქართველოს ისტორიას ქრისტემდეც და ქრისტეს შემდეგადაც რამდენიმე სანიშანსვეტო ხანა აქვს: ქრისტემდე და მის შემდგომ 600 წლის მანძილზე ეს ფარნავაზიან – გორგასლიანთა დინასტიის მეტ-ნაკლებად წარმატებული მმართველობის ხანაა, განსაკუთრებით ეს ვახტანგ მეფეზე ითქმის, მერე მოდის დაკნინების – VII–VIII საუკუნეების „უმეფობის ხანა“, როცა სახელმწიფოებრიობა ერთიანად მოისპო ჯერ არაბთა, მერე კი ირანის ბატონობის შედეგად...

„ოქროვანი ხანა“

IX საუკუნიდან იწყება, ვიხმაროთ ეს ტერმინი – მაშინდელი „ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა“ და ფარნავაზიან – გორგასლიანთს მიემატა ეს მესამე, ბაგრატიონთა სახელმწიფო. ამ ახალმა სამეფო დინასტიამ გაცილებით მეტს მიაღწია, ვიდრე წინა ორმა: X – XIII საუკუნეებში შეიქმნა ჩვენი ისტორიის საამაყო – „ოქროვანა ხანა“...

„ქართლის ცხოვრება“ (სუმბათ დავითის-ძე: „ცხოვრება და ღვაწლი ბაგრატიონთა“), და მასზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილი საქართველოს გაერთიანებისა და ძლიერების პროცესის დაწყებას უკავშირებს ბაგრატ III და მის ერთგულ და ნიჭიერ თანამებრძოლს იოანე მარუშიძეს. მან ჯერ კიდევ დავით მეფის დროს ჩაუყარა ამ გაერთიანებას საფუძველი, როცა მისი რჩევით დავითმა ჯერ ქართლში ილაშქრა და შემოიერთა, მერე კახეთშიც. მეფისა და მისი

მრჩევლის გეგმა თანდათანობით ხორცს ისხავდა და ბოლოს მისი შვილიშვილის – ბაგრატ III დროს „აფხაზეთის მეფედ“ გამოცხადებით დაგვირგვინდა...

ივანე ჯავახიშვილი ბაგრატ III (978 – 1014) შემდეგ ძლიერ მმართველად ასახელებს გიორგი I (1014 – 1027), განსაკუთრებით კი, მის შვილს ბაგრატ IV (1027 – 1072), მაგრამ ეს არ ითქმის „უნიათო“ გიორგი II (1072 – 1089) და სიმბოლურია ამ მხრივ ის, რასაც „საშინელი მიწის რყევით“ აღნიშნავს „ქართლის ცხოვრება“:

„უფალმან... შესძრა ქვეყანა საფუძველითურთ ესოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი მტვრად იქმნენ, ქალაქნი და სოფელნი დაირღვნენ, ეკლესიანი დაეცნენ, სახლნი დაითქმენ და გაქრნენ“. ბუნების ამ საშინელი მოვლენის ფონზე მოხდა თავისებური „მშვიდობიანი რევოლუცია“ – გიორგი II გადადგა სამეფო ტახტიდან და ქვეყნის მმართველობა გადასცა თავის 16 წლის შვილს დავით IV (1089 – 1125).

საქართველოს ისტორიაში იგი დამკვიდრდა „დავით აღმაშენებელის“ სახელით და ითვლება ქართველი ერის ყველაზე საყვარელ და ძლიერ მმართველად, რამეთუ მან შექმნა მართლაც რომ ჩვენს ისტორიაში დღემდე განუმეორებელი, უნიკალური და ძლიერი ქართული სახელმწიფო. აქ მოვიყვანთ ილია ჭავჭავაძისეულ დახასიათებას:

„... დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო მახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავისი ეროვნებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვისი ეროვნებისა და სარწმუნოებისა... ამისთანა დიდბუნებოვანობა იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არ ინდობდა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან?“

მერე ილიას მოჰყავს, სომეხი, ბერძენი და არაბი ისტორიკოსების აღფრთოვანებული შეფასება: „მაჰმადიანი მწერალი ალი – აინი აი, რასა სწერს: „დავითი უფრო მეტს პატივს სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი...

... კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, – ამბობს ჩვენი ერი – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებელის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი“.

დავით IV აღმაშენებელი დღემდე რჩება საქართველოს და ქართველი ერის სათაყვანებელ პიროვნებად, პიროვნებად, რომელიც მომავლის ორიენტირია ჩვენთვის, რამეთუ მომავალი არ არსებობს წარსულის გარეშე... ამიტომ არის, რომ ილიას იდეალი, მის „საერთო ნიადაგის“ – თეორიის ამოსავალი პრინციპი გახდა მაშინდელი საქართველოს „ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართვა“...

„პირველ არს სიტყვა“ – ეს უნივერსალური ფორმულა ყველაფერს ეხება და მათ შორის სახელმწიფოებრივ მშენებლობას. გიორგი ათონელი – მთაწმინდელის დაუღალავმა ქადაგებამ განაპირობა მაშინდელი ახალი ქართული სახელმწიფოს წარმატებული მშენებლობა. **„აღლესა მახვილი მხილებისაი“** – წერს ჟამთაღმწერელი, როცა ახასიათებს ათონის ივერთ მონასტრიდან საქართველოში ჩამოსულის დაუნდობელ კრიტიკას გიორგი II სამეფო კარზე გამეფებულ უპასუხისმგებლო – უსაქმურობას და კორუფციას, რამაც გზა გაუხსნა დავით აღმაშენებლის რეფორმებს. რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერამ“ კი თავისებური სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძვლები შეუქმნა ამ ახალ სახელმწიფოს. ამიტომ წერს ივანე ჯავახიშვილიც: **„ქართველი ერი მარად მადლიერი უნდა იყოს გიორგი ათონელი – მთაწმინდელის“.**

მაგრამ სამწუხაროდ, „საქართველოს ოქროვანი ხანა“ დიდხანს არ გაგრძელდა – სულ რაღაც 200 წელი: აღმაშენებელის შვილმა დემეტრე მეფემ (1125 – 1154) და შვილიშვილმა გიორგი III (1154 – 1184), ასევე შესძლეს ქვეყნის წინსვლა – განვითარება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, მაგრამ თვისობრივად მაღალ საფეხურზე ავიდა ეს თამარის მეფობის დროს (1184 – 1213). ამიტომაა რომ „ქართლის ცხოვრება“ ქება-დიდების სიტყვებს არ იშურებს მისდამი და ქართული ფოლკლორიც ხომ არ ჩამორჩება ამ ქება-დიდებას...

ივ.ჯავახიშვილი შეჯამების სახით ასე ახასიათებს მის მეფობასაც და მთელ ამ „ოქროვან ხანასაც“:

„თამარის პირადს მიმზიდველ თვისებას ისიც შეადგენდა, რომ იგი თავისი გასაოცარი ძლიერებისა და სიმდიდრის-და მიუხედავად, მეტად თავმდაბალი და სათნო ადამიანი იყო. ქართველი ისტორიკოსი ამბობს: **„... თამარ მეფე ვერ შეიტყუა საწუთრომან და სკიპტრამ, არცა ქვათა პატიოსანთა უხვად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან“** ... ძლიერება და სიმდიდრე ხშირადა რყვნის ადამიანს, მაგრამ თამარ მეფე – **„არა მიდრიკა, ვერცა წარიპარა სიმდიდრემან“.** ბ-ნი ივანე აგრძელებს:

„... მარტო ის რადა ღირდა, რომ საქართველოს ძლიერების დროს ისტორიამ ნაზ და სათუთ არსებას, უმშვენიერეს ქალს არგუნა მეფობა, რომელმაც საქართველოში დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა აჭკვეთა და დამასახიჩრებელი სასჯელები მოსპო! ... ხოლო უცხოეთშიც მისი სახელი განთქმული და საქებური იყო: ... განა საკვირველია, რომ დიდებული მეფის სახელი იმდროინდელ ფრანგ და ბერძენ მეზღვაურებს შეექოთ და ერაყის მომღერლებს ედიდებინათ?“...

„დავითის ძალისხმევისა და თამარის სათნოების ხაზი“ – აი, რა მიაჩნდათ „ქართლის ცხოვრების“ მაშინდელ ჟამთააღმწერ – ისტორიკოსებს ქართული სახელმწიფოს იდეალად, მაგრამ ეს იდეალი მათთან ერთად გაქრა: თამარ მეფის შვილებმა – ლაშა-გიორგიმ და რუსუდანმა კვალიც კი არ დატოვეს მისგან. ამასთან ხალხს და ქვეყანას ცენტრალური აზიიდან თავს დაატყდა მონღოლთა

მომთაბარე ტომების უსასტიკესი შემოსევები მიწისძვრაზე უარესი ნგრევა და მსხვერპლი რომ მოუტანათ...

„ძნელბედობა“

„წარხდენილი ქართული წეს-წყობა“...

გეოგრაფიულ ფაქტორს რომ დიდი, ხშირად კი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერისა და ქვეყნის ისტორიულ განვითარებაში, ცხადზე ცხადია. ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომს ამ პრობლემით იწყებს ასეთი ნიშანდობლივი სათაურით – **„საქართველოს საისტორიო გეოგრაფია“.** დღესაც განა ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალს ეს ფაქტორი არ განსაზღვრავს ბევრწილად? ეს ჯავახიშვისეული „საისტორიო გეოგრაფია“ დღესაც მოქმედებაშია ევროპა-აზიის გასაყარზე მდებარე ჩვენი ქვეყნისთვის...

ამ მხრივაც ივანე ჯავახიშვილის ერთი დაკვირვება აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული არა მარტო შორეულ წარსულში:

„...ქართველთა პოლიტიკურს ძლიერებას წინ ერთი დიდმნიშვნელოვანი გარემოება ეღობებოდა და აფერხებდა. რასაკვირველია მართალია ა.მიულერი, როდესაც ამბობს, რომ დასავლეთთან შედარებით აღმოსავლეთი იმით იყო უბედური, რომ ბარბაროსი ველური ტომების გადმოსახლება აღმოსავლეთში თითქმის არ შეწყვეტილაო: არაბებს თურქები მოჰყვნენ, ამათ მონღოლები ორგზის და ოსმალები“.

XII – XIII საუკუნეებიც გამონაკლისი არ ყოფილა ამ მხრივ:

სპარსელების, არაბების და თურქ-სელჯუკების, შემდეგ, სწორედ მონღოლთა მძარცველურმა ლაშქრობებმა დასცა საქართველოს ძლიერება თამარ მეფის მემკვიდრეების დროს, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთიდან მომთაბარე მესაქონლე ტომების ამ დამანგრეველ შემოსევებთან ერთად, საქართველოს დაცემაში დიდი როლი ითამაშა შინაურმა ფაქტორებმაც – ეროვნული ერთობის დარღვევამ და შინაბრძოლებმა...

ამან წარმოშვა ეს ჩვენი ფოლკლორიც – **ციხე შიგნიდან ტყდება...** სამწუხაროდ, ყველა ეპოქაში მეტ-ნაკლებად ვამართლებთ შაჰ-აბასის ამ წყევლასაც – **„ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ!“.** თავის ღმერთს ამაოდ არ შესთხოვდა იგი ამას, სწორედ ამ გზით შესძლო მან და მასთან ერთად, ოსმალეთის იმპერიამ მთელი სამხრეთი საქართველოს – ძველი ისტორიული მესხეთის გამაჰმადიანება, დღესაც რომ ვიმკით მის დამღუპველ შედეგებს ე.წ. „თურქი მესხის“ სახით...

„ქართლის ცხოვრება“ პირუთვნელად აღწერს ამ მოვლენებსაც. ამ მხრივ საინტერესოა XIV საუკუნის უცნობი ჟამთაღმწერელი – ისტორიკოსის

დახასიათება „ლაშა-გიორგი თამარის – ძისა“ და მის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდათა – **„რინდთა დასის“:** ისინი არაფრად დაგიდევდნენ წინაპართაგან დადგენილ „ქართულ წეს-წყობას და ტრადიციებს“, „გარინდება – გარინდებულნი“ – ლოთობას და გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ, არაფრად აგდებდნენ თვით საეკლესიო კანონებს და ამის მაგალითი თანადასელ – პარტიელებს („დასი“ პარტიას ნიშნავს) თვითონ ახალგაზრდა მეფემ მისცათ, როცა ველისციხეში ქალი ქმარს წაართვა და სასახლეში საყვარლად დაისვა, მიუხედავად ეკლესიის და სასახლის კარისკაცთა წინააღმდეგობისა...

1220 წელს მონღოლთა გამოჩენაც სათანადოდ არ იქნა შეფასებული, მათთან ბრძოლისას მიღებული ჭრილობისაგან ლაშა-გიორგი გარდაიცვალა და სამეფო ტახტი ერგო კვლავ ქალს – რუსუდან თამარის – ასულს (1222 – 1245), მაგრამ დედისგან განსხვავებით, არც მას აღმოაჩნდა ქვეყნის მართვის ნიჭი და უნარ-ჩვევები, რასაც ზედ დაერთო მონღოლთა ახალ-ახალი შემოსევები, თბილისის აღება, გაძარცვა და მიწასთან გასწორება...

ასე დაიწყო „ძნელბედობის ხანა“, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით დამთავრდა. მონღოლებს ოსმალები მოჰყვნენ, მათთან ერთად, სპარსელები და შაჰ-აბასის გენოციდური ლაშქრობები, რომლებმაც საქართველოს და ქართველ ერს მაჰმადიანურ სახანოებად დაყოფის რეალური საფრთხე შეუქმნეს. ბიზანტიის დაცემამ საქართველო ხანგრძლივად მოწყვიტა ევროპას. ჩვენი დიდი მოღვაწეების – გიორგი ბრწყინვალის, ვახტან VI, სულხან-საბა ორბელიანის, ერეკლე მეფის ყოველი ცდა აღედგინათ ევროპასთან დამაკავშირებელი „სასიცოცხლო გზა“, მარცხით დამთავრდა...

თავის ისტორიულ განვითარებაში ყველა ერს განუცდია მეტ-ნაკლებად „ძნელბედობა“, მაგრამ ასეთი ხანგრძლიობით როგორც ქართველმა ერმა, იშვიათად: 1225 – 1227 წლების გარნისის ბრძოლისა და თბილისის აღება – გაძარცვა – გადაწვიდან მოყოლებული მთელი საუკუნეების მანძილზე კითხვის ქვეშ იდგა ერის თვით შემდგომი არსებობაც, „მკვდარ ერად“ გადაქცევას რომ გვიქადდა...

ამ მხრივ გამორჩეული „ძნელბედობა“ ჩვენთვის მაინც XVII საუკუნე გახდა. ივანე ჯავახიშვილი წერს:

„საქართველოსა და ქართველი ერის ცხოვრებაში ეროვნული თვალსაზრისით უაღრესი გაჭირვებისა და განსაცდელის ხანად XVII საუკუნე უნდა ჩაითვალოს. მას შემდგომ, რაც ქართლის სამეფო ტახტზე სპარსეთის შაჰმა 1634 წელს როსტომი დაამტკიცა, აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის წამლეკავი გავლენის ასპარეზად იქცა. თვით სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი როსტომ-ხანი ახალისებდა მაჰმადიანურ წეს-ჩვეულებებს... სპარსული ენა და მაჰმადიანობა მისი წაბაძულობით თანდათანობით უფრო და უფრო ვრცელდებოდა და ეროვნულ არსებობას დიდ საფრთხეს უქმნიდა.

... საბედნიეროდ, ქართველმა ერმა ამ საშინელ გასაჭირში მთელი თავისი ენერგია და შემოქმედებითი ნიჭი მოიკრიფა და ამ გამანადგურებელ საფრთხეს წინ აღუდგა“.

ამასობაში ეს საბედისწერო XVII საუკუნეც მიილია და XVIII საუკუნისთვის ხალხი და ქვეყანა ახალი დამპყრობლის წინაშე აღმოჩნდა: სამხრეთის მაჰმადიანური იმპერიები – სპარსეთი და ოსმალეთი ჩრდილოეთის ვითომცდა „ერთმორწმუნე“ რუსეთმა შეცვალა, მაგრამ იგი არანაკლები საფრთხის შემცველი აღმოჩნდა საქართველოსა და ქართველი ერისთვის: „ძნელბედობა“ კი არ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო საშიში გახდა მთელი მომდევნო საუკუნეების მანძილზე დღემდე. ამან შვა სწორედ ეს ჩვენი ფოლკლორული თქმა მაშინ – **„ვუის გავეყარე და ვაის შევეყარე“...**

– ამას რუსიც სხვა ჰგონია?!...

ახალი დამპყრობელი სულ სხვა ჯიშ-ჯილაგის აღმოჩნდა. პეტრე დიდი შეეცადა რუსის და რუსეთის „გაევროპელებას“, მაგრამ მარკიზ დე კიუსტინისა არ იყოს, ვერც გააევროპელა და აზიურობაც დაუკარგათ მონღოლთა „ოქროს ურდოს ნაშიერებს“...

მონღოლებისგან კი მემკვიდრეობით ეს მტკიცედ შეითვისეს – ცბიერობა და სისასტიკე, ვერაგობა და ბოროტება. ამიტომ წერდა ივ. ჯავახიშვილი 1919 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის ჟამს: არ არის ბოროტება, რუსეთს რომ საქართველოს მიმართ არ ჩაედინოს...

გავიხსენოთ ილიას „რუსი აფიცერიც“, რა სარკაზმით აღწერს მასთან დიალოგს „მგზავრის წერილებში“ – აქ ხომ იმპერიის მთელი სულია გაშიშვლებული დღევანდელი პუტინის რუსეთის ჩათვლით:

„... კარი გაიღო და ერთმა რუსის აფიცერმა შემოჰკო თავი. იმისი სახის მეტყველება ამჟღავნებდა, რომ ღვინოსა და არაყს ძალიან დაახლოვებით იცნობდა...

– რამდენი გენერალი გეყოლებათ თქვენ, ქართველებს?

– იქნება ერთი ოციოდე...

– რაო, ოციოდეო! ეგ დიდი საქმეა, ოციოდეო ამ ერთ მუჭა ხალხში?!... ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას“... სწორედაც რომ ამ „რუსულ ცივილიზაციას“ უკეთესად ვერ დაახასიათებ!

ხალხშიც არაერთი მოსწრებული თქმა დაილექა ახალ დამპყრობელთან მიმართებაში, ვთქვათ, 1812 წლის კახეთის აჯანყებულთა ასეთი გამოთქმა: –

ღმერთო გვიხსენ შავი ჭირისა და რუსისაგან!, ანდა, ეს გამოთქმაც – ამას, რუსიც სხვა ჰგონია...

უყვარდა ხალხში დაგროვილი აზრიან-ძარღვიანი მოსწრებული თქმები ყველა ეპოქას რომ ახასიათებს... და აი, ერთხელ მოუყვნენ ერთ მანაველ კაცზე ჩოლოყაშვილთან რომ მუშაობდა მოურავად. რუსებმა აქ ქვეყნის დაპყრობისას პირველი სამხედრო ბანაკი გამართეს და ამ თავადს დაუფიცნია – სანამ რუსები აქედან არ წავლენ, სახლიდან გარეთ ფეხს არ გამოვადგამო...

ყოველ დილით ეკითხება თურმე მოურავს – რუსები ისევ აქ არიანო, ეგონა როგორც სხვა დამპყრობლები, ერთი-ორი თვე დარჩებიან და წავლენო. ჯერ ხომ ცოცხლად ახსოვდათ, რა მალე წავიდა აღა-მაჰმად ხანი კრწანისის შემდეგ იმავე 1795 წელს...

ამ მოურავს რომ მობეზრებია ეს აჩემებული კითხვები რუსების წასვლის თაობაზე, ერთხელაც თურმე თავისთვის ჩაულაპარაკებია:

– გიჟია ეს ჩემალალა, ამას რუსიც სხვა ჰგონია...

დიახ,, ბევრისგან განსხვავებით ეს მანაველი გლეხკაცი მალევე მიხვდა, რომ სულ სხვა ჯიშის დამპყრობელი მოევლინა ამჯერად ქვეყანას, დამპყრობელი, რომელიც აქ დროებით კი არ იყო მოსული, არამედ მუდმივად...

და განა დღეს ორი საუკუნის შემდეგ ეს გამოთქმა – ამას რუსიც სხვა ჰგონია, კვლავ ბევრ ყურადსაღებ პარალელებზე არ მიგვანიშნებს?!...

ამიტომაა ნათქვამი ეს ჩვენი ძველი სიბრძნეც – **„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების“.**

– მე რუსეთზე ჯვარი კი არა მაქვს დაწერილი...

ესეც ისტორიული ფაქტია – ერეკლე მეფემ გააგრძელა ის ხაზი, რაც გიორგი ბრწყინვალემ, ვახტანგ VI და სულხან საბა-ორბელიანმა ევროპასთან პოლიტიკით ჩაუყარეს საფუძველი. ძველი, ახალი და უახლესი „ქართლის ცხოვრება“ ამ მხრივაც ერთიან ეროვნულ-ისტორიულ პროცესს წარმოადგენს ფარსმან ქველიდან და პეტრე იბერიდან დაწყებული დღემდე. ესეც უნდა გავაგებინოთ ევროპასაც და სხვებსაც, პირველ რიგში კი, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, რომელსაც მაშინ ჯერ თავისი ისტორიაც არ ჰქონდა...

ერეკლე მეფის დროს ევროპელი მისიონერების რაოდენობა ასეულებს შეადგენდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, მისი ყველა შვილების და შვილიშვილების აღმზრდელები ხომ, მისიონერები იყვნენ და როცა ისინი ურჩევდნენ ევროპულ ორიენტაციას, ისე როგორც წარმოშობით სომეხი

ვაჭარი იოსებ ემინიც, „ინდოეთ-ინგლისის კომპანიის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი, ერეკლე მათ პასუხობდათ:

– თქვენ რა გგონიათ, მე რუსეთზე ჯვარი კი არა მაქვს დაწერილი, მაგრამ რამდენი თხოვნაც არ გავაგზავნე ევროპაში, ერთი ზარბაზანი და ზარბაზანის ოსტატიც კი არ მაღირსეს... ბრმა ხომ არა ვარ, ვხედავ, რომ ფაქტიურად რუსეთს დაუთმეს კავკასია, მტკიცედ მჯერა – ჩვენს გამო ევროპა რუსეთს ომს არ დაუწყებს და მეც რა ვქნა, მაჰმადიანურ სახანოდ ვაქციო ქვეყანა?!...

რაც შეეხება შეთქმულების მასშტაბებს, აქაც მრავალრიცხოვანი მასალებით ირკვევა, რომ მას თანაუგრძნობდა ევროპის ბევრი ქვეყანა. მეტიც, აქტიურად მონაწილეობდნენ მასში (პოლონეთი, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია). მერე კი, ყირიმის ომის დროს ინგლისმა და საფრანგეთმა საზღვაო ოპერაციებიც განახორციელეს ყირიმსა და ჯიქეთშიც... ისე, რომ ერეკლეს შემდეგ ევროპამ მთლად თავის ნებაზე აღარ მიუშვა რუსული უსაზღვრო – უკიდეგანო ამბიციები... ისე, რომ დღეს ევროპას ისტორიაც ავალდებულებს ამას და დღევანდელობაც...

აქაც მართლდება ერეკლე მეფის „რუსეთთან ჯვარის დაწერის“ სიმბოლიკა და დღეს სწორედ ევროპა უნდა გახდეს მასთან „განქორწინების“ გარანტი ჩვენთვის...

რაც შეეხება რუსეთის წინააღმდეგ „შეთქმას“ – დიდ საერთო ეროვნულ აჯანყების მომზადებას, შეიძლება ითქვას, რომ ისიც პირდაპირი გაგრძელებაა რუსეთის მიერ ერეკლე მეფესთან დადებული ხელშეკრულების ვერაგულად დარღვევისა.

ამიტომაა, რომ 1919 წლის მონოგრაფიაში ივანე ჯავახიშვილის ასეთ გულსაკლავ სიტყვებსაც შევხვდებით:

„ერეკლე მეფის... სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამის ბრალი მის პირადს პოლიტიკურ გულუბრყვილობასა და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა“.

მაგრამ ესეცაა – სხვა არჩევანიც არ ჰქონდა დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში ჩართულს და ამდენად, – ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა...

– რანი ვართ...

წიწამურიდან მოყოლებული, მთელი XX საუკუნე ილიას გარეშე გავლიეთ. **„მესამედასური საქართველო“** – ასე შეიძლება ეწოდოს ამას, გენიოსურად რომ განჭვრიტა გალაქტიონმა ამ გენიოსური სიტყვებით:

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია,
მაშინ დამთავრა ეპოქა დიდი“...

შეიძლება ვინმემ იფიქროს – აბა, ილიას რეაბილიტაცია რაღაა, მისი ტომების გამოცემა, მუზეუმების გახსნა თბილისშიც, საგურამოშიც, ყვარელშიც, დაბადების დღეების საზეიმოდ აღნიშვნა...

მართალი ხართ: 1936 წლის 4 სექტემბერი „პრავდის“ საქებ-სადიდებელი სტატია, იქვე „კაკო ყაჩაღის“ რუსული თარგმანიც... მორჩა, გათავდა – ილია **„ხალხის მტერი და რეაქციის ბურჯი“** აღარაა, იგი „დიდი მწერალია“, ასეც წააწერეს წიწამურთან აღმართულ ობელისკზე...

დიახ, ილია აღსდგა სტალინურ-ბოლშევიკური რეაბილიტაციით, მაგრამ აღსდგა როგორც „მწერალი“ და არა როგორც **„ეროვნული იდეოლოგი“**, როგორც ეს განსაზღვრა მისი როლი და ადგილი ვაჟა ფშაველამ („ვერ მოჰკლეს“?), აკაკიმ – „ილიაა ჩვენი ლამპარი“, ანდა, იწინასწარმეტყველა იაკობ გოგებაშვილმა:

„იქნებ მსოფლიოს არცერთ ერს მომავალში არ დასჭირდეს თავისი გენიოსი წინაპარი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს“.

აი, ეს „დაჭირვება“, ილიას „ეროვნული იდეოლოგობა“, მისი „ლამპრობაა“ მთავარი დღეს. გადავხედოთ ისტორიასაც – ყველა წარმატებულ სახელმწიფოს თავისი ასეთი „ლამპარი“ ჰყავს, ვთქვათ, აშშ ჯორჯ ვაშინგტონი, „ამერიკანიზმის“ მამამთავარი, უფრო აქეთ, საჩვენოში, ისრაელს – თეოდორ ჰერცელი, „სიონიზმის“ მამამთავარი...

მაგრამ ჩვენ? ილიას „საერთო ნიადაგის“ ნაცვლად, 9 აპრილის შემდეგ ისე დავერიეთ ერთმანეთს და იმდენი სისხლი ვღვარეთ დღემდე, შაჰ-აბასსაც შეშურდებოდა... დიახ, წიწამურს ახალი წიწამურები მივუმატეთ...

„ბულკის ხე“

მოგონილი ამბავი არავის გეგონოთ, ნამდვილი ამბავია: სანამ გამსახურდიას დაამხობდნენ ე.წ. „თბილისის ომის“ დროს, მის უზენაეს საბჭოში შესდგა სპეციალური „აგრარული კომისია“ საბჭოთა კოლექტივების ბედის გადასაწყვეტად. ტელევიზიაშიც არის ამ დისკუსიის ჩანაწერები და 2003 წელს თსუ სამეცნიერო კრებულში – „ქართული სახელმწიფო“ დაფიქსირებული.

„თსუ ილიალოგთა კლუბი“ გამოვედით ინიციატივით, რომ ამ კომუნისტურ გადმონაშთს ნუკი დავშლით, ცენტრალიზმიდან თვითმართველურ სასოფლო-სამეურნეო კორპორაციებად – „ხოდაბუნებად“ გარდავქმნათ. ცენტრალიზმიდან დეცენტრალიზმისაკენ გადადგმული ასეთი ნაბიჯი დაგვაახლოებს ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის იდეალთან – **„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“**, ციტატები მოგვყავდა სტატიების მისი ციკლიდან – „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, სადაც იგი პრიორიტეტს სასოფლო-სათემო მიწათმფლობელობას ანიჭებს...

მოგვყავდა ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტიც, მისი ნაშრომი – „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, მისი და ილიას საქართველოს აგრარულ-ინდუსტრიული განვითარების სტრატეგია, **„მიწისა და გუთნის საქართველოს“** ილიას მეტაფორაც, შირაქი – „საქართველოს პურის ბეღელი“ ისტორიულად ამან წარმოშვა-თქო... სხვა ათასი არგუმენტებიც, **ვთქვათ, გერმანიისა, სადაც სასოფლო-სათემო დომინანტია...** სხვანაირად დაიკარგება მიწები, განიავდება მანქანა-ტრაქტორები, ათეული წლების მანძილზე შექმნილი ხალხის უძრავ-მოძრავი ქონება, უკვალოდ გაქრება მილიარდობით ფული...

არა და არა – საღმა აზრმა არ გაიმარჯვა და მერე რაც მოჰყვა შედეგად ამ „ანტიილიურ“ აგრარულ პოლიტიკას, უფრო სწორედ კი, **„პლუტიკას“,** ყველამ ვნახეთ... ეს ჩვენი წინადადება რომ არ გავიდა, მერე ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა იუმორით თქვა – კარგით, რაკი ილია და ჯავახიშვილი არ გინდათ, მაშინ ბრაზილიის ჯუნგლებში „ბულკის ხე“ ყოფილა, ის მაინც შემოვიტანოთ და გავამრავლოთო... ამაზე კი გიყვარდეთ, რეაქცია იყო უმაღლესი და მერე სანამ მთავრობის სახლს ზარბაზნებით დაანგრევდნენ, ხშირად გვეკითხებოდნენ – მიგვასწავლეთ, როგორ და რანაირად შემოვიტანოთ ეგ „ბულკის ხეო“...

როგორ ავღნიშნეთ ილიას დაბადებიდან 170 წლისთავი...

დიდი სამზადისი გაჩაღდა ილიას საიუბილეოდ 2007 წელს, იგი დიდის ამბით **„ილიას წლად“** გამოცხადდა, წინასწარ შემუშავდა „საიუბილეო ღონისძიებათა“ ვრცელი გეგმა-მონახაზი, სათანადო პლაკატებით, ათასნაირი ლოზუნგებით, ილიას სურათებით და გამონათქვამებით...

და მოახლოვდა იუბილეს დღეებიც – 2007 წლის ნოემბრის დღეები და ჩვენ მტერს, როგორც „ილიას წელი“ და მისი ეს იუბილე ავღნიშნეთ – იშვიათად რომ ახსოვს ჩვენს უახლეს ისტორიას ასეთი სისხლიან-ცრემლიანი დღეები: ე.წ. „ნაციონალებმა“, სინამდვილეში კი, ფსევდონაციონალებმა ყველას თვალნათლივ დაანახვეს რა ერთგულები იყვნენ და დღესაც არიან ილიას „საერთო ნიადაგის“ იდეალების, დღესაც „რევოლუციაზე“ რომ ოცნებობენ, არადა, ილიას ჭირივით სძულდა თვით სიტყვაც კი – **„რევოლუცია“...**

ესეც კიდევ არაფერი, ამ ფსევდო-ნაციონალებმა მომდევნო წელს კიდევ ისეთი ანტიილიელობა ჩაიდინეს, შეიძლება მისი კვალი მთელ ამ საუკუნესაც გაჰყვეს: ილია გვმოძღვრავს და გვარიგებს – რაც არ უნდა მოხდეს, არ დაუპირისპირდეთ და ეომოთ რუსეთს, მას ომი უომრად უნდა მოვუგოთო... ამათ კი, როგორც ნამდვილმა „გიჟ-ვრაცუებმა“, ისე მოიგიჟიანეს თავი და რაც მივიღეთ, ცხვირწინ გვიდევს დღეს... დიახ, ილიასგან განდგომა ძვირად გვიჯდება მუდამ...

„გონიერსა მწრთვნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“ – სწორედ რომ ამის კლასიკური მაგალითი გვიჩვენეს თავიანთი რევოლუციონერი ბელადის მეთაურობით... სასაცილო არის, სატირალი რომ არ იყოს – ილია გყავდეს და სინგაპურში და კიდევ ვინ იცის სად არ გარბოდე იმათი „მოდელის“ გადმოსაღებად ამ ჩვენს „გეორგიანთა ქვეყანაში“?! უსაქმურობა – უთავობა მეტი-ღა გაგონილა...

ამ „მოდელებმა“ დაღუპა ეს ოცდაათი წელი ხალხიც და ქვეყანაც, ილიასი არ იყოს, – **„სხვათა ბაძს გადაყოლილნი თითქოსდა, წუთისოფლის ნაბიჭვრები ვიყვნეთ და ჩვენი საკუთარი არაფერი გვქონდეს“...**

ერთი ესეცაა სათქმელი – თუკი ჩვენს სიმღერებს სადღაც ამერიკაში, თუ იაპონიაში სწავლობენ, კოსმოსშიც კი გაუშვეს სხვა შესაძლო ცივილიზაციებთან დამაკავშირებელ მეგზურად, იქნებ ჩვენი მომავლის „მოდელი“ აქვე, ჩვენთან, ჩვენს ისტორიასა და მემკვიდრეობაში მოვიძიოთ?!... ღირს ალბათ, ამაზე ფიქრი...

როგორო – ალბათ იტყვით: ძალიან ადვილად და როგორც იტყვიან – მუქთად და იაფად: ავიღოთ ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია, მისი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები, ეპოქის შესატყვისი გამოყენებითი პოლიტოლოგიური კვლევით გლობალიზმის მიმდინარე პროცესებს მოვარგოთ და შედეგად მივიღებთ იმას, რასაც **„ქართული მოდელი“** და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა ჰქვია...

აი, მაშინ გავცემთ ღირსეულ პასუხს ილიას ამ კითხვა-დილემას: „რად შეიძლება ვიქმნეთ“, მაშინ ვაქცევთ საქმედ მის „საერთო ნიადაგის“ დიდ იდეა – თეორიასაც...

„სულის ღონე“ გვაკლია საამისოდ დღეს, ის სულის ღონე დიდგორთან „ძლევაი საკვირველი“ რომ შვა მასთან ერთად, მაშინდელი „ერთნებაობა – თანადგომაც“...

ილია და ნილს ბორი – ორი გენიოსის
იდეური თანხვედრა...

1961 წელი. მსოფლიოში სახელგანთქმული ფიზიკოსი – ნობელიანტი ნილს ბორი საბჭოთა კავშირში სტუმრობისას საქართველოსაც ეწვია. ქართული მასპინძლობით გულთბილად შევხვდით. თბილისის უნივერსიტეტში ყოფნისას მან ასეთი ანტი-კომუნისტური თეზა – ფორმულა დაგვიტოვა ლათინურ ენაზე: **„დაპირისპირებულნი ურთიერთგამომრიცხავნი კი არა, ურთიერთშემავსებელნი არიან!“**. ეს მისი ლაკონური გზავნილი დღესაც ინახება თსუ II კორპუსის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში...

1896 წელი. ილიამ თავისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის უნივერსალური მეთოდოლოგია შეიმუშავა მანაც მარქსიზმის უარსაყოფად: **„დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად.** აი, მრავალთაგან ერთი ამონარიდი საილუსტრაციოდ მისი სიტყვიდან გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვისას:

„ბატონებო, ქვეყანა სავსეა ხილულთა და არახილულითა ადამიანის სულიერი და ხორციელი თვალისათვის... სულთასწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორისავე გზით და რაც უფრო ადამიანი თვალ-ახილულია და გონება-გახსნილი, ნება-უნებლიედ ამ ორ სამფლობელოში დადის მოუსვენრად...

ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი და რომელიც ჩემის ფიქრით, სხვა არა არის – რა, თუ არა მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერი მორიგებისა ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად“.

არ დაგვავიწყდეს, ეს ის დროა, როცა თვით ევროპაშიც მიაჩნდათ, რომ სადაც მეცნიერებაა, იქ რელიგიას არაფერი ესაქმება და პირიქით – სადაც რელიგიაა, იქ მეცნიერების ადგილი არაა... შემდეგში ილიამ ეს თავისი თეზა – ფორმულა „საერთო ნიადაგის“ თეორიის ამოსავალ დებულებად და მეთოდოლოგიად აქცია ათეიზმისა და „პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და დიქტატურის“ მარქსისტული დოგმის წინააღმდეგ, რამაც განსაკუთრებით გამოკვეთილი სახე მიიღო მესამედასელ მარქსისტებთან პოლემიკაში, წიწამურამდე რომ მიიყვანა იგი...

ილია და აჭარა:

„რა ამბავია, რა ამბავია, ადამიანი კიდევ ადამიანია?!...

ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ერთობის იდეა „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთი არსებითი პრინციპია. „ოსმალოს საქართველოს“ და ილიას სხვა სტატიებშია ეს გაჟღერებული...

როგორც კი თბილისში ხმა ჩამოვიდა რუსეთ-თურქეთის 1877–79 წლების ომის შემდეგ შემოერთებულ აჭარაში შიმშილობა მძვინვარებს და უიმედო – უნუგეშოდ დარჩენილი აჭარლები თურქეთში გარბიანო, ილიას მძვინვარებას საზღვარი არ ჰქონდა:

„ეს რა ამბავია, რა ამბავია, ადამიანი კიდევ ადამიანია, თუ გამხეცდა, განადირდა, რომ გვერდით მეორე ადამიანს ვეღარ იშვნევს, ვეღარ ითვისებს. სამასი წლის დაკარგული ძმა მოვიდა, შველა უნდა და შენ ხელს ჰკრავ... ნუ იქმ მაგ სამარცხვინო საქმეს ქართველობავ...

და აქ ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა ძველ ისტორიულ მესხეთში ახლახან დამთავრებული ცხელი სისხლისმღვრელი ომის შემდეგ ახალი, ახლა უკვე მშვიდობიანი ომი გამართეს: ფულით, სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმლით... ძმური ხელი გაუწოდეს შიმშილით სიკვდილის ზღვარზე მყოფ აჭარლებს... ასეთმა სიყვარულმა სულიერ-ფიზიკურად იხსნა აჭარა, გააღვიძა მათში გენეტიკური ფესვები თავიანთი ჯიშ-ჯილაგისა ის, რასაც „ოსმალოს საქართველოში“ წერს ილია:

„ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს, იგია საგანძე, სადაც ერი ჰპოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თავის ზნეობითს და გონებით აღმატებულობას, თავის ვინაობას... სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, ოღონდ მოვიდეს ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ“...

ისტორიას უყვარს გამეორება სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ფორმით და ჩვენს ეპოქაშიც მოგვიწია ამ პრობლემასთან შეხება ქართველებს: ზუსტად 400 წელი გავიდა, რაც შაჰ-აბასმა გაასახლა 100 ათასზე მეტი ქართველი ფერეიდანში და როცა ილიას დაბადებიდან 150 წლისთავზე გაჩნდა იდეა ახალი დიდი დასახლების – „ილიაწმინდას“ მშენებლობისა, ერთდროულად გაჩნდა ფერეიდანელთა დაბრუნების იდეაც, რა თქმა უნდა, ვინც ამის სურვილს გამოთქვამდა.

დამოუკიდებლობის შემდეგ, 90-იან წლებში ევროკავშირის მოთხოვნით დადგა აგრეთვე, 1944 წელს გასახლებული მაჰმადიანი მესხების, ანუ, კგბ შემოგდებული ძველი დემაგოგიური ტერმინით კი, ე.წ. „თურქი მესხის“ რეპატრიაცია – რეაბილიტაციის საკითხიც ევროკავშირისვე დახმარებით და

დაფინანსებით... საქმეც თითქოს დაიძრა, გამოიყო მიწები ივრისპირეთში, აშენდა გარკვეული შენობა-ნაგებობანი, მაგრამ ევროკავშირის მოთხოვნათა საპირისპიროდ, სააკაშვილის ბრძანებით 2007 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელსაც სამართლიანად ეწოდა **„არ დაბრუნების კანონი“.**

სამაგიეროდ ამ ე.წ. „ნაციონალებმა“ მშვენივრად გაყიდეს არაბებზე „ილიაწმინდას“ მიწები, ტექნიკა, შენობა-ნაგებობანი, ფულიც შესანიშნავად გაიყვეს ძმურად... აი, ასე „აღსრულდა“ ილიას ის ძველი ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ერთობის იდეა...

გრიგოლ რობაქიძე და „მარქსელების ფერისცვალება“...

გრიგოლ რობაქიძის 1948 წლის მემუარებში – „მოგონებათა ბარდული“ ერთ საოცარ მოგონებას ვხვდებით 1921 წელს ბოლშევიკური ანექსიის შემდეგ ემიგრაციაში წასულ ქართველ სოციალ-დემოკრატ მენშევიკებზე. თვითონაც ბოლშევიკებისაგან გაქცეული ემიგრანტი, გაოცებული წერს მათ საოცარ ფერისცვალებაზე:

„სულ სხვაა „მამულიშვილობა“. იგი მეტია ვიდრე „პოლიტიკა“ და დავუმატებ: მეტია ვიდრე „პარტიაც“. ნოე ჟორდანია მარქსელია – მე არამარქსელი. ვთვლი მას შესანიშნავ მამულიშვილად... მარქსელია აკაკი ჩხენკელი – ვიგულვებ თავდადებულ მამულიშვილად. ევგენი გეგეჭკორიც მარქსელია – ძალიან მაგარ მამულიშვილად მიმაჩნია. ერთი დეტალიც. პირდაპირ „ისტორიული“ – გამოადგებათ ოდესმე ქართველ პოლიტიკოსებს.

1943 წელი, ივნისი. ბერლინი. მივდივართ მე და ევგენი გეგეჭკორი. ევგენი დაბალი ხმით: „გრიგოლ! ჩვენი ერის ბედს ნუ გადავაყოლებთ ერთი ერის ბედს!“ სიტყვა-სიტყვით. დააკვირდით ამ „ერთს“. აქ იგი მარტო რიცხვს არ ნიშნავს! დააკვირდით, თუ როდის იყო თქმული? დაინახავთ: „პოლიტიკურ გამჭრიახობასთან ერთად, მამულიშვილურ ზრუნვასაც“...

მთელი ეს „მოგონებათა ბარდული“ იმის გააზრება – მტკიცება – გათავისებაა, რომ ამ რობაქიძისეულ „მამულიშვილობას“ ქვეყანაზე ვერავითარი „პოლიტიკა“, თუ „პარტია“ ვერ შეედრება. გავიხსენოთ, თვითონაც როგორ თვალცრემლიანი შეჰყურებდა სიცოცხლის დაისის ჟამს სუხიშვილების ანსამბლის კონცერტს ჟენევაში, ემოციებით სავსე რეცენზიაც რომ უძღვნა („როკვით განფენილი ქართული გენი“)...

მსგავსი ემოციებით არის დამუხტული 1971 წელს პარიზში გამოცემული გიორგი წერეთელის მემუარებიც – „ქართული ემიგრაცია“: იქ, ევროპაში წასული ქართველობა ყველა „ილიელები“ გახდნენ: მენშევიკი სოციალ-დემოკრატები,

„ფედერალისტები“ ხომ თავისთავად აქაც ილიას მიმდევრები და მეხოტბენი იყვნენ...

და ერთი საოცარი ფაქტიც ამ მოგონებებიდან ილიასთან დაკავშირებით: აკაკი ჩხენკელს რომ ახასიათებს, მას „ეროვნული ერთობის“, ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის მიმდევრად და თანაავტორადაც კი გამოჰყავს. თანაც ხაზს უსვავს – „დიდი ნიჭიერებით და დამაჯერელობით იცავდა“ ილიასაც და მის მსოფლმხედველობასაც თავის ნაშრომში – „სახელმწიფო და ერი“, ესეც საგულისხმო ფაქტია: ჩხენკელის ამ ნაშრომის კვალობაზე დღეს პოლიტოლოგიაში ფართოდ დამკვიდრდა ცნება – **„ერი – სახელმწიფო“...**

ევროპაში მაშინ ქართველოლოგიის რამდენიმე ცენტრი იყო პარიზთან ერთად – მიუნხენში დიდი სახელი ჰქონდა მიხეილ (მიხაკო) წერეთელს, ლონდონში – ვარლამ ჩერქეზიშვილს, ბრიუსელში – მარკიზ ტუღუშს, ციურიხის უნივერსიტეტში კი – აკაკი ჩხენკელის უმცროს ძმას, ქართველოლოგიის პროფესორს კიტა ჩხენკელს. მათი მშობლები მრავალშვილიანი ოჯახი იყო (9 შვილი ჰყავდათ) და აფხაზეთში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, შვილები კი ბედის ირონიით ევროპაში აღმოჩნდნენ...

ისე, რომ ქართველმა ემიგრაციამ ევროპასაც გააცნეს ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია. იქ დატოვებულ ამ მდიდარ მასალასაც მოგროვება და სათანადო ანალიზი უნდა, რაც უდავოდ წაადგება „ილიალოგიასაც“ და ქართულ-ევროპული ურთიერთობის ისტორიასაც...

ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უკავია ვარლამ ჩერქეზიშვილის (1846–1925) მოღვაწეობას ჯერ ლონდონში და მერე 1917–1921 წლების საქართველოში, სადაც ცდილობდა „ხოდაბუნური“ თვითმართველური ახალშენების შექმნას მონღოლებისაგან გაუკაცრიებულ ივრისპირეთში. ამ იდეაზე იგი ილიას „ივერიაში“ სტატიებსაც ბეჭდავდა „ლონდონელისა“ და „ვაზიანელის“ ფსევდონიმებით (50-მდე ასეთი მისი სტატიაა გაზეთში), ილიას კი და-ძმა უორდროპები გამოუგზავნა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად თარგმნის მიზნით. ჩერქეზიშვილი 1904 წელს ჟენევაში დაარსებული „საქართველოს სოციალისტ-ფედერაციული პარტიის“ და ე.წ. „ხოდაბუნური სოციალიზმის“ იდეის ფუძემდებელია“, რომელიც ებრაული „კიბუცური სოციალიზმის“ ანალოგიაა...

ილიას განსაკუთრებით მოსწონდა ჩერქეზიშვილის **„ევროპის შეერთებული შტატების“** იდეა... მას ილიასთან ოჯახურადაც გულთბილი ურთიერთობა ჰქონდა – საქართველოში ჩამოსვლისას ილიასთან ჩერდებოდა საგურამოში. ოლღა მის ფრანგ მეუღლეს – ფრიდას, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის აქტივისტს, „მეტად ჭკვიან ქალად“ ახასიათებს... როგორც კი რუსეთში მეფის ხელისუფლება დაემხო, ჩერქეზიშვილი მაშინვე საქართველოში გაჩნდა...

ვინც 1917 წლის „საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე“ ე.წ. „ინტერპარტიული კომიტეტის“ მასალებს გაეცნობა, ნახავს რა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ვარლამ ჩერქეზიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში. იგი ილიას დისშვილთან – კოტე აფხაზთან ერთად შეიარაღებული ძალების ფორმირებასა და ბოლშევიკთა XI არმიასთან ბრძოლებშიც 75 წლის კაცი შაშხანით ხელში პირადადაც იღებდა მონაწილეობას.

მასაც დიდი არქივი დარჩა ევროპაში და მისი შესწავლა შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობის ბევრ მასალას მოგვცემს ქართულ-ევროპული ურთიერთობის ანალიზისთვის... მის **„არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“** იდეებს ხომ სტალინი დაცინვით „პაწია თემთა სოციალიზმს“ უწოდებდა. ესეც ფაქტია – **„სახელმწიფო“,** თუ **„არასახელმწიფო სოციალიზმის“** ალტერნატივა ევროპაშიც და მსოფლიოშიც პირველად ჩერქეზიშვილმა დააყენა...

რომან ჰერცოგი: „თქვენ რომ სახელმწიფო სამართალი გქონდათ...

გლობალიზმმა ჩვენს თვალწინ მსოფლიო სულ სხვა გახადა: სულო და გულო, დღეს ადამიანი მსოფლიოს ოთხივე კუთხეს ედება და ქართველმაც ფეხი აიდგა – შაჰ-აბასივით თოკის ჩაბმა აღარ სჭირდება გასასახლებლად...

ჩვენთანაც ვინ გინდათ არ გვსტუმრობდეს და მახსენდება ამ ოციოდე წლის წინ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული გერმანიის მაშინდელი პრეზიდენტი, სახელმწიფო სამართლის დიდი სპეციალისტი რომან ჰერცოგი და მისი ეს გამონათქვამი:

– თქვენ არავისგან არაფერი გადმოსაღები არაფერი გჭირთ, თქვენ რომ სახელმწიფო სამართალი გქონდათ, ჩვენ ამაზე წარმოდგენაც არა გვქონდაო და მაგალითად ვახტანგ VI „სჯულმდებელი“ და მისი კანონები დაასახელა – თურმე სტუდენტობის დროს შეუსწავლია...

მართლაცდა, ისე გადმოვწერეთ საზღვარგარეთიდან ათასი კანონი, მათ შორის მიწის კანონი, არცერთხელ არ ჩავიხედეთ როგორ შეიმუშავეს ეს ქვეყნისათვის უმთავრესი კანონი ჩვენმა წინაპრებმა: ილიასი არ იყოს – „ჩვენ რა, დაკარგულები ვართ, ჩვენც გვიცხოვრია, გვიმოქმედია, გვიფიქრია“...

აი, მისი „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, ან, „ივერიის“ სტატიების მთელი ციკლი – „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“. აქ ხომ იგი სასოფლო-სათემო მიწათმფლობელობას მაღლა აყენებს კერძოზე! ჩვენ კი რა ვქენით – სოფელს სოფლის მიმდებარე საძოვრებიც კი წავართვით, აღარაფერს ვამბობთ შირაქის მსგავს შორეულ „საყანე მიწებზე“, სადაც ამერ-იმერით

სოფლებს ისტორიულად განაწილებული ჰქონდათ მიწის ნაკვეთები სახნავ-სათეს „ხოდაბუნებად“...

– ათასი გვირისტით ნაქარგი ქართული ხასიათი...

ილია ადამიანის ფსიქიკის, მისი შინაგანი ბუნების წვდომის დიდოსტატიცაა, მათ შორის ქართველი კაცისაც, მისი „ათასგვარი გვირისტით ნაქარგი“ ხასიათისა...

„...მეტად ნიჭიერი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით სახელგანთქმული კალამია საჭირო, რომ გაიკვალოს გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად...

ერთის მხრივ, ჩვენ მართლა ხელგაშლილი, გულახდილი, გულწრფელი და სულმაღალი რაინდები ვართ. თუკი რაიმე გრძნობამ გვძლია და გაგვიტაცა, ჩვენ თავმოტაცებული ცხენივით გაჩერება არ ვიცით, რაც უნდა საშინელი ბოლო მოსდევდეს და რაც უნდა ცხადად და უტყუარად ვხედავდეთ ამ შედეგს ჩვენის გატაცებისას... ამ შემთხვევაში ჩვენი გული სწორედ რომ ვნებათაღელვის ზღვაა...

მეორეს მხრივ, წარმოადგენს პაწია ხავსით მოკიდებულს ტბას, რაც გინდა გრიგალი დაჰქროდეს, მისი ტალღები მაინც მყუდროდ განისვენებენ“...

აი, ეს დახასიათებაც, „ხანგრძლივმა ძნელბედობამ“ და კოლონიური ყოფის **„უცხო – საუცხოო ფსიქიკამ“** რომ მოგვიტანა:

„ჩვენ, ქართველებს ერთი საძაგელი სენიც გვჭირს – ყიზილბაშობა... ურცხვი ტყუილი ქება, საძაგელი კლაკვნა და პირიდან თაფლის დენა, რომელიც ქართველი „ზრდილობას“ ეძახის. ესენი ერთი შტოები არიან დამპალ ყიზილბაშობისა“...

ილიას თანამედროვე მესამედასელ მარქსისტს პეტრე გელეიშვილს ილიას სიმპატიებს ვერ დავწამებთ და მასაც მოვუსმინოთ როგორ ახასიათებს ილიას:

„ილია ჭავჭავაძე ერთი მთლიანი ქვისაგან გამოთლილი კაცი იყო, ქედმოუხრელი, შეუდრეკელი... ვისაც მისი ხასიათის გაგება და შესწავლა უნდა, მან ოთარაანთ ქვრივი უნდა შეისწავლოს...

ილიამ არ იცის ყოყმანი და ორჭოფობა, მას კონსერვატორობით ვერ შეაშინებთ, ის ბოლომდე მიდის თავის დასკვნებში... კლასობრივი სიძულვილისა და შეურიგებლობის ქარიშხალმა გადაუარა საქართველოს, ყველა შეეწირა ამას, ყველა მიწასთან გაასწორა, მხოლოდ ილიამ გაბედა ამ სტიქიონთან გამკლავება“.

არტურ ლაისტი ილიასთან თავის 22 წლიანი ურთიერთობის ზეგავლენას რომ იხსენებს, ერთ მეტად ნიშანდობლივ ასპექტს უსვავს ხაზს: ილია დიდ

პატივს სცემდა ევროპას და საერთაშორისო გამოცდილებას, მაგრამ მაინც ჯერ საკუთარ ფესვებსა და ისტორიაში იხედებოდა...

„მეც საქართველოს შესწავლის დროს რასაც ვხედავდი, თავის დღეში არ ვადარებდი ამავე მოვლენას გერმანიისას იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში შედარება უდრის დასაბამის უარყოფას იმ ხალხისას, რომელსაც გაცხოველებული ისტორია აქვს“.

ნიშანდობლივი სიტყვებია იმათ გასაგონად, ვინც ილიასი არ იყოს, „სხვათა ბაძის მონები არიან და მხოლოდ სხვისი ბაძით სულდგმულობენ“.

„უმადურობა“...

არტურ ლაისტი შესანიშნავი ქართულით დაწერილ წიგნში („საქართველოს გული“), იხსენებს საგურამოში 1907 წლის ივლის-აგვისტოში გატარებულ დღეებს. სწორედ მან დაგვიფიქსირა წიწამურამდე ილიას ყველაზე ხშირად წარმოთქმული სიტვა – **„უმადურობა“.** მანვე დაამკვიდრა წიწამურის შემდეგ თბილისიდან „მონანიების“ ფეხით სვლა მკვლელობის ადგილამდე...

„ჩვენი აბო“ – ასე ეძახდა ილია მას და მათი მეგობრობა სანიმუშო მაგალითი იყო მაშინდელი თბილისისთვის – უერთმანეთოდ პურს არ ჭამენო, ამბობდნენ რედაქციაში. გერმანული კოლონიებიც ხომ თბილისშიც და თბილისის გარეთაც ქართველებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობით გამოირჩეოდნენ...

– ასეთი ილია აქამდე არ მენახა, იგონებს ლაისტი, ადრე მუდამ ხალისიანი, იუმორით სავსე, სიამოვნებით ვლაპარაკობდით რუსეთის, თუ ევროპის ამბებზე, მახსოვს რუსეთის იაპონიასთან მარცხს „ყირიმის ომს“ ადარებდა – რომანოვების რუსეთის დასასრულად მიაჩნდა და სულ იმას ნატრობდა, ეგების ინგლისის მსგავს კონსტიტუციურ მონარქიად გარდაიქმნასო...

– თბილისიდან ჩამოტანილ რუსულ და ევროპულ გაზეთებსაც უგულოდ ათვალიერებდა, აღარც ომის წინ „თოფ-იარაღში ჩამჯდარ ევროპაზე“ ლაპარაკობდა... ჩუმად გავყურებდით აივნიდან არაგვის ხეობას... ჩემს მეხსიერებაში კი მისგან ეს გულსაკლავი სიტყვა – **„უმადურობა“** ჩამრჩა...

მართლაცდა, შექსპირისა არ იყოს, უმადურობავ, წიწამურის სახელი უნდა გერქვას შენ!..

თუმცა ესეც სათქმელია – ეს „უმადურობა“ ილიასთან ხომ არ დამთავრებულა – ესეც ეტყობა „ქართული ხასიათის გვირისტია“: ილიამდე პეტრე იბერს რომ თავი გავანებოთ, ილიას ეპოქაში ფიროსმანზეც სანამ უცხო კაცმა („უცხო“ ხომ ჩვენთვის ყოველთვის „საუცხოო“ ავტორიტეტია!), არ გვითხრა

– გენიოსი მხატვარიაო, ისე ამოხდა სული შიმშილით და უპატრონობით, დღეს საფლავიც არ ვიცით...

– რად შეიძლება ვიქმნეთ...

ილია – ჩვენი ეპოქის გიორგი ათონელი მთაწმინდელი...

პროგნოზირება დღეს გამოყენებითი პოლიტოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება ხდება: არ არის ცხოვრების არცერთი სფერო, მსოფლიოს არცერთი ქვეყანა ამ დარგით რომ არ ინტერესდებოდეს...

ჩვენც გამონაკლისი ხომ არა ვართ და აქაც დავუჯეროთ ილიას და შევეცადოთ შევიმეცნოთ – გავიაზროთ – გავითავისოთ, თუ რანი ვიქნებით უახლეს, თუ შორეულ მომავალში. სტატიაში – „ზოგიერთი რამ“, ილია წერს:

„აიღებს ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავს ჰკითხავს: ვის უნდა ველაპარაკოო... მართლაცდა, ვის უნდა ელაპარაკოს? მეტყვიან – ყველასაო... მაგრამ ჩვენ, ქართველებს საყოველთაო რა გვაქვს..., ქართველობა ხომ არ გგონიათ საყოველთაო სალხინებელი და სანაღვლებელი?... ის შემკრებელობითი დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, დაირღვა, ჩვენის გონებიდან ამოშრა – ამოიშალა“...

ამ ჩვენი ხანგრძლივი „ძნელბედობის“ ტრაგიზმიც ის არის, რომ – „განთვითეულდით, ასო-ასოდ დავიჭერით, ყველა ჩვენს ნაჭუჭში ჩავიკეტეთ, ყველამ ჩვენ ჩვენი ბედნიერება შემოვიღობეთ და ვთქვით – „მე თუ არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილაო“... როცა კი, ეროვნული ერთობის იდეას ეხება, იქ ილიას ემოციებს რომ მართლაც საზღვარი არა აქვს...

მაგრამ ემოციებთან ერთად და მათ შემდგომ ილიას არც მომავლის ხედვა და პროგნოზირება ავიწყდება, იმის გააზრება, თუ – რანი ვიქნებით. „საერთო ნიადაგის“ თეორიის ძალაც ესაა – „ძველიდგან ახლის აღმოშობა“...

ვისაც უნდა „საერთო ნიადაგის“ ილიას თეორიის არსს ჩაწვდეს, მან პოემა – „აჩრდილს“ უნდა მიმართოს – იგი მისი პოეტური გადმოცემაა, თვითონ რუსთაველის ეპილოგად წამძღვარებაც მიგვანიშნებს ამაზე:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

ამ „ტურფასა საბაღნაროსა“, მის წარსულის და აწმყოს ასახვას ეძღვნება პოემის I – XXI თავები. აქ ავტორის – „საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის“ სევდანარევი გააზრებაა ამისა, მაგრამ მკითხველს წინ თავისებური უცნაური გამოცანა ელის: პოემის XXII და XXIII თავები, რომლებშიც ერთ სიტყვასაც ვერ

ნახავთ – იქ მხოლოდ მრავალი წერტილებია. რაშია საქმე, რას გვეუბნება, რაზე მიგვანიშნებს ამით ილია?...

იმას, რომლითაც მომდევნო თავებში კავკასიონზე შემომდგარი მოხუცის ღვთისმშობლისადმი ლოცვის სიტყვებით გვეუბნება:

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია,
შენ მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა,
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
სახელოვანი განუახლე წარსულთა ყოფა...
მოჰმადლე ქართველს ქართლის ნდომა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!...
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარჰხოცო ხალხსა!“...

და ბოლოს, პოემის ოპტიმიზმით გაჟღენთილი XXVII თავი:

„მსწრაფლ გადმოენთო ცისა ლაჟვარდსა,
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა“...

მაგრამ მაინც – რა ვუყოთ ჩვენთვის დატოვებულ ამ მრავალწერტილიან ორ თავს? ჩვენ ხომ ისინი რაღაცით უნდა შევავსოთ, თუ ჩვენც დღეს ასეთივე მრავალი წერტილებით დავუტოვოთ შემდგომ სხვა თაობებს თავისსამტვრევ გამოცანად? ახლა მათ კიდევ სხვა თაობებს და ა.შ.?!...

რა თქმა უნდა, არა! თუ წინა XX საუკუნის თაობებმა ვერ შეძლეს, ახლა მაინც ჩვენ, ახალი საუკუნის თაობებმა უნდა შევძლოთ აღსრულება „ტკბილ იმედისა“, რაზეც ასე ოცნებობდა იგი მთელი სიცოცხლე.

ამას კი მხოლოდ მაშინ შევძლებთ, მაშინ აღდგება „მშვენიერი ესე მამული“ და მისი საოცარი და საამაყო „ძლევაი საკვირველი“, როცა შევძლებთ „საერთო ნიადაგზე დგომას და ერთნებაობა – თანადგომით ქვეყნის მართვას“...

ამ გააზრებით ილია დღეს ჩვენთვის გიორგი ათონელი – მთაწმინდელია, კავკასიონზე შემომდგარი „საქართველოს თანამდევი უკვდავი სული“...

ზევითაც ითქვა: რა დრო-ჟამიც გინდა არ დაუდგეს კაცობრიობას, თუ ერსა და ქვეყანას, ეს ძველი სიბრძნე – „პირველ არს სიტყვა“, მარადიულია. ასე იყო პეტრე იბერის დროსაც და მერეც. ამ „სიტყვამ“ შვა ის ჩვენი სასახელო საქართველოს ოქროვანი ხანა“, სიტყვა, რომელიც საერთო – საქვეყნო საქმედ აქცია გიორგი ათონელმა – მთაწმინდელმა და შემდეგ რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერამ“...

დავაკვირდეთ ისტორიას და გნებავთ თანამედროვეობასაც – ყველა სახელმწიფოს ფორმირება და განვითარება ორ სუბსტანტს, ორ საწყისს ეფუძნება – ეროვნულ და საერთაშორისო გამოცდილებას: ჯოხის გადახრა ან ერთის, ან მეორისკენ ზიანს მოუტანს სახელმწიფოს წინსვლა-განვითარებას...

„საერთო ნიადაგის“ თეორიაა სწორედ ის მოცემულობა, რომელიც ორივე ამ საწყისს აერთიანებს ილიას. **„ევროპელი კაცის“** ზეწოდებაც ამიტომ არა აქვს?!... ზევითაც ითქვა – ამ თეორიას მხოლოდ გამოყენებითი პოლიტოლოგიური კვლევა და რაც მთავარია, ამ კვლევის შედეგების პრაქტიკაში განხორციელება უნდა ჩვენგან...

აქ თეზისების სახით ჩამოვთვლით მის ძირითად იდეებს და პრინციპებს, რომელთა გათვალისწინება ილიას გახდის იმად, რასაც აკაკი „ლამპარს“ უწოდებს...

თეზისები:

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“, ბრძანა რუსთაველმა და თეზისების ეს ფორმაც ამის შესატყვისია: თვითეულ მათგანს ხაზგასმით ერთვის ილიას ციტატაც იმის გასააზრებლად, თუ რისკენ მოგვიწოდებს იგი. ვფიქრობ, ამ გზით „საერთო ნიადაგის“ თეორიის არსი კიდევ უფრო გამოიკვეთება მკითხველისთვის...

ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ თეზისები ატარებენ დასრულებულ და სრულყოფილ ხასიათს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ გამოდგებიან შემდგომი კვლევა-ძიებისათვის, თუკი ოდესმე კვლევის რაიმე ცენტრი შეიქმნება ამ მიმართებით...

I. ილიას მიაჩნდა, რომ ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიულ განვითარებას ალტერნატივა არა აქვს ეროვნული ცხოვრების არცერთ სფეროში, რამეთუ – „ბუნებრივი ყოველთვის აღმატებულია ხელოვნურზე“. ტრაგედიაც ის არის, რომ ქვეყნის ხანგრძლივი „ძნელბედობით“ დაირღვა ეს ბუნებრივ-ისტორიული განვითარების პროცესი...

„ახალი საქართველო მხოლოდ ძველიდგან შეიძლება აღმოვშობოთ მკვიდრად!“

II. ამდენად, მემკვიდრეობითობა ერისა და ქვეყნის უნივერსალური კანონია და მისგან გადახვევა აკაკის „ღამურას“ ტრაგედიის ტოლფასია. განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ამ კანონის გათვალისწინება წარმატების აუცილებელი წინაპირობაა. ილია ამას მეტაფორულად ასე გამოხატავდა:

„შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან გააგრძელოს ცხოვრების უღელის წევა“.

III. სულიერება, ფსიქიკური ფაქტორები მუდამ განმსაზღვრელია ფიზიკურსა და მატერიალურზე. კაცისა, თუ ერის ცხოვრებაში ამას ალტერნატივა არა აქვს. „ძლევაი საკვირველი“ ამან მოგვიტანა დიდგორთან 900 წლის წინ...

„ყველა დიდნი საქმენი და გმირობანი მარტო სულის ღონეა და სხვა არაფრის“.

IV. ვისაც ლიდერობის და ერისკაცობის პრეტენზია აქვს, მას თავისი სუბიექტური ამბიციების გარდა, ობიექტური ანალიზის უნარ-თვისებებიც უნდა გააჩნდეს. სხვანაირად დაღუპავს თავსაც და ქვეყანასაც.

„ცხოვრება თვითრჯულია. იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილს რიკ-რიკაზედ“.

V. ყველაფერი უნდა დაექვემდებაროს ეროვნული ერთობის მიზანს. ამის გარეშე ერიც და ქვეყანაც განწირულია მარცხისათვის.

„ერი უძლეველია საერთო ნიადაგზე დგომით და ერთნებობა – თანადგომით“.

VI. ძირშივე უნდა აღიკვეთოს დაპირისპირება და ანტაგონიზმი როგორც ადგილობრივი, ისე ეროვნული მაშტაბით. ეს „კლასობრივი ბრძოლის“ საბჭოთა სისტემის გადმონაშთია.

„დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“.

VII. ქვეყნის მმართველობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პოლიტიკური მიზანი უნდა გახდეს სრული და შეუზღუდავი ადგილობრივი თვითმართველობის დამკვიდრება. ცენტრალიზმიდან დეცენტრალიზმისაკენ, ეს სახელმწიფოს უმაღლესი მიზანია.

„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“. აქ ილია შემთხვევით ერთ კონტექსტში როდი ახსენებს **„თვითმოქმედებას და თვითმართველობას“** – ისინი ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

VIII. ასეთ თვითმართველობაზე უნდა დაფუძნდეს „ახალი ხოდაბუნური დასახლებანი“ მონღოლებისგან გაპარტახებულ ივრისპირეთსა და სხვა დღეს დაუსახლებელ ადგილებში. ასეთ დასახლებებში შეიძლება აღორძინდეს სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული ძველი ე.წ. „სრულფუძიანი კომლი“ და „მამასახლისის“ ინსტიტუტიც. ეს სხვათაშორის, დღეს შენარჩუნებული აქვთ ფერეიდანში.

„ძველ საქართველოში კომლი წარმოადგენდა არამცთუ სამეურნეო ერთეულსა, არამედ ადმინისტრაციულსაც“.

IX. ძველი ეროვნული ტრადიციებიდან აღსანიშნავია აგრეთვე, „მესხური სამეურნეო ტერასები“. მათი კვალი დღესაც ასობით და ათასობით შემორჩენილია ძველი მესხეთის მთა-გორაკების ფერდობებზე. თანამედროვე ტექნიკის პირობებში ტერასული მეურნეობების მოწყობა დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს, თუ სახელმწიფო ამას სტიმულს მისცემს გარკვეული **„უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“** შექმნით. ეს ჩვენი მთა-გორიანი ქვეყნის პირობებში ეროვნული ეკონომიკის ზრდა-განვითარების დიდ რესურსად უნდა იქნას მიჩნეული.

„არ არის ჩვენს ქვეყანაში მხარე, თემი და სოფელი, სადაც საქართველოს ძველი დიდების რაიმე ნაშთი არ იყოს შემორჩენილი“.

X. ტოლერანტიზმი – ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობის ჩვენი ისტორიული ტრადიციები გლობალიზმის ეპოქაში კიდევ უფრო აქტუალურ მნიშვნელობას იძენენ. ჩვენი ვალია მათ მეტი პოპულარიზაცია მივცეთ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც.

„ქართველ კაცს არასოდეს უკადრია ეს უკაცური ქმედება სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების დევნისა, როგორც ეს ბევრგან სხვაგანაა“.

XI. ისტორიამ ისე ინება, რომ დღეს ქართველი ერი რელიგიური აღმსარებლობით ორ ნაწილად არის გაყოფილი, მაგრამ ფსიქო-გენეტიკური თვალსაზრისით ჩვენ ერთიანი და განუყოფელი ერი ვართ.

„ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ერთობა ჩვენი დიდი ზნეობრივი ძალა და სიმდიდრეა“.

XII. გლობალიზმის პირობებში აუცილებელია აღსდგეს „ქართლის ცხოვრებით“ დაფიქსირებული და ისტორიულ ტრადიციად ქცეული „კავკასიური კონაღობის – კავკასიის საერთო სახლის“ იდეალები. ეს მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიის აუცილებელი წინაპირობაა გლობალიზმის ეპოქაში.

„არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ, ქართველები კავკასიელებიც ვართ!“

XIII. მთა მარად იყო და მარად უნდა დარჩეს საქართველოს პანაცეა, მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების საფუძველთა – საფუძველი. მთის დაცლა და გავერანება დიდი ეროვნული ტრაგედიის ტოლფასია.

„მთა ქართველი ერის ზნეობისა და კულტურის, მისი სულიერი და მატერიალური სიმდიდრის ბალავრის ქვაა“.

XIV. „ჩვეულებითი სამართლის“ ელემენტები აუცილებლად უნდა იქნას ჩართულნი და ადაპტირებულნი თანამედროვე ქართული სამართლის სისტემაში. ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს მართლწესრიგის განმტკიცებას და სტაბილურობას ქვეყანაში.

„ჩვეულებითი სამართალი უფრო მისაღებია ხალხისათვის იმიტომ, რომ შექმნილია თვითონ ხალხისაგან“.

XV. დავით აღმაშენებელის „ანდერძში“ დაფიქსირებული ძველი ქართული სამეურნეო კორპორაციების – „ხოდაბუნების“ აღორძინება და შემდგომი განვითარება უნდა ჩაითვალოს „საქართველოს ოქროვანი ხანის“ რეამინაციად. ეს ამასთან, საუკუნეთა მანძილზე მომდინარე „ძნელბედობის“ დასასრულის მანიშნებელი სიმბოლოც იქნება ჩვენთვის.

„ძველი საქართველოს ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ამით გადარჩა ქვეყანა ამდენი მოოხრების, ომებისა და სისხლისღვრების შემდეგ“.

XVI. „ქართლის ცხოვრება“ და უცხოეთის სხვა წყაროებიც გვიდასტურებენ, რომ ქართულ სახელმწიფოებრიობას მინიმუმი 3000 წლის ისტორია აქვს და თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ოდითგან „დამაკავშირებელი ხიდი“ იყო ევროპასა და აზიას შორის. დღეს ევრაზია სულ უფრო ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცე ხდება. „აბრეშუმის გზის აღორძინების“ და განსაკუთრებით კი, საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პირობებში კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობანი ჩნდება ღირსეული ადგილი დავიკავოთ საერთო – საკაცობრიო პროგრესში.

„ქართველი კაცი არასოდეს არ გამხდარა კაცობრიობის წინმსვლელობის უბრალო მოწმე და მაჩანჩალა“.

ბოლოთქმა

უკვე ითქვა: „საერთო ნიადაგის“ იდეა V საუკუნის პალესტინიდან იღებს სათავეს. პეტრე იბერის ზეწოდება – **„მშვიდობისმყოფელი“**, თავისთავად მიგვანიშნებს მისი ქადაგებების არსს:

პეტრე იბერს მიაჩნდა, რომ „კაცთა მოდგმა“ – კაცობრიობა ღმერთმა დედამიწაზე აღჭურვა იმ მისიით, რომ – **„გონების განწმენდით და კაცთა ერთობით“** დაამყაროს მშვიდობა მსოფლიოში. მისი **„სახედველნი მიწის და ცისა საღვთოი ნისლის განჭვრეტით“** ერთიანი მსოფლიო რელიგიის და მსოფლიო მშვიდობისკენ ილტვოდნენ. ამიტომ თანაუგრძნობდა იგი ყველა იმდროინდელ რელიგიას – დიოფიზიტობას, მონოფიზიტობას, ნესტორიანელობას...

ისე, რომ დღეს ილიას მიერ თეორიად გადაქცეული ეს პალესტინური „საერთო ნიადაგის“ იდეა მარტო ეროვნული არაა, ის ევროპისა და მთელი მსოფლიოს კუთვნილებაცაა. მთავარი დღეს ისაა, რომ ჩვენ ყველამ ამ „გონების გაწმენდით და კაცთა ერთობით“ შევძლოთ საქმედ ვაქციოთ პეტრე იბერის ეს ქადაგება და მისი პალესტინური ხილვები, ხილვები, რომლებიც თან სდევდა მას მთელი სიცოცხლე...

ამიტომ კარგი იქნება, თუ იუნესკოს ეგიდით დაფუძნებული იქნება **„მშვიდობის ინსტიტუტი“** 2021 წელს „თბილისი – წიგნის დედაქალაქის“ დღესასწაულის ფარგლებში, ამასთან, საფუძველი ჩაეყრება დიდ ეკოლოგიურ წამოწყებას თბილისის შემოგარენში – **„პარკი-მემორიალი პეტრე იბერი“**, როგორც ვთქვათ, ეს განხორციელდა ჩინეთში „კონფუცის მემორიალის“ სახით გასული საუკუნის 70–80-იან წლებში.

პეტრე იბერიც – **„ქართველი ერის სამკაული და მსოფლიო მეოხი“** (იოანე პეტრიწი), იმსახურებს იმას, რომ უკვდავყოფილი იქნას მისი სახელი მის სამშობლოში.